საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გორბაჩოვი მიხეილ სერგეის ძე

მ. გორბაჩოვი

გორბაჩოვი მიხეილ სერგეის ძე (2. III. 1931, სოფ. პრივოლნოე, კრასნოგვარდეისკოეს რ-ნი, სტავროპოლის მხარე, რფ – 30. VIII. 2022, ქ. მოსკოვი), სსრ კავშირის პრეზიდენტი (1990– 91). დაამთავრა მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი (1955), სტავროპოლის სას.-სამ. ინ-ტი (1967). სხვადასხვა დროს იყო სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი (1970–78), სკკპ ცკ-ის მდივანი (1978–85), პოლიტბიუროს წევრი (1980–91), სკკპ ცკ-ის გენ. მდივანი (1985–91), სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1988–89) და უმაღლესი საბჭოს (1989–90) თავ-რე. 80-იანი წწ. შუა ხანებიდან სათავეში ჩაუდგა საბჭ. საზ-ბის გარდაქმნის პროცესს, დიდი წვლილი შეიტანა დემოკრატიულობის ელემენტებისა და საჯაროობის დამკვიდრებაში, საერთაშ. უსაფრთხოების ახალი კონცეფციის შემუშავებაში, დას. ქვეყნებთან კონფრონტაციის შეწყვეტასა და „ცივი ომის" დამთავრებაში. 1991 დეკ-ში გადადგა პრეზიდენტის პოსტიდან. 1992 იანვრიდან არის სოც.-ეკონ. და პოლიტოლოგიური კვლევების საერთაშ. საზოგადოებრივი ფონდის (გორბაჩოვი-ფონდი) პრეზიდენტი. არის მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი (1990), მრავალი ჯილდოს კავალერი.

იხ. აგრეთვე სტ. ცხრა აპრილი 1989.